



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება:ბ92.92220607

თარიღი:01/03/2022

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის 3-ე პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. დამტკიცდეს:

- ა). ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი დანართი N 1 - ის შესაბამისად;
- ბ). 2022 - 2023 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი N2 - ის შესაბამისად;
- გ). საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი განაცხადის ფორმები 3-6 -ე დანართების შესაბამისად.

მუხლი 2. დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „საფინანსო სამსახურის“ უფროსს გიორგი მანგოშვილს ერთი თვის ვადაში შეადგინოს:

- ა). საბიუჯეტო კალენდართან (დანართი N2) შესაბამისი, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი;
- ბ). ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;
- გ). რეკომენდაციები ახლად შემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით;
- დ). წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები N7-8 დანართის შესაბამისად.

მუხლი 3. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „საფინანსო სამსახურმა“, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „ადმინისტრაციულ სამსახურთან“ ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება.

მუხლი4.დაევალოს “პრიორიტეტების დოკუმენტზე” მომუშავე ჯგუფს აღნიშნული დოკუმენტის მოსამზადებლად მუშაობა დაიწყოს მიმდინარე წლის 01 მარტიდან.

მუხლი5.პრიორიტეტის დოკუმენტი უნდა შეიცავდეს „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 76-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

მუხლი6. ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე

მუხლი7.ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24

ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

